საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანაშვილის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. [illegible]
4 „ 15 „ [illegible]
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 1 მ. 50 კ. [illegible]
4 „ 1 მ. — „

№ 62 პარასკევი, ნოემბრის 16, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწარე გაკვეთილი

თანამედროვე პოლიტიკურ გერმანიაში შექმნილი საერთო მდგომარეობა ბევრის მღალადებელია. იყო დრო, როდესაც სჯეროდათ დემოკრატიზმის უბიწოება, ყოვლის შემძლეობლობა. დემოკრატიული ფორმა და შინაარსი სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებისა ჰგულისხმობს სხვა და სხვა სოციალ ჯგუფების, განსაკუთრებული ინტერესების მქონე კლასების შეთანხმებას, შეკავშირებას, სოლიდარულ ცხოვრებას. მთელს მსოფლიოში კაპიტალიზმის ნორმალ განვითარების შერყევასთან ერთად შეირყა დემოკრატიული აზრების მთავარი ბოძები. დემოკრატიზმი პირმშო შვილია კაპიტალიზმის წინმსვლელობის. დემოკრატიული რესპუბლიკა უკანასკნელი სიტყვაა ბურჟუაზიის პოლიტიკურ მეცნიერების. დღეს არ არის მსოფლიოში სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენდეს დემოკრატიულ წყობილების ნამდვილ სურათს. კაპიტალიზმის ფინანსიურ საფეხურზე გადასვლამ წამოაყენა შესაფერისი პოლიტიკური ფორმულა—კაპიტალისტური ოლიგარხია. სხვა და სხვა ინდივიდუალი ინტერესების მქონე ბურჟუაზიული წრეები და კაპიტალისტური ჯგუფები ემორჩილება ერთ კარნახს, წინასწარ შემუშავებულ გეგმას, საერთო ინტერესებს. ბურჟუაზია დემოკრატიზმის გზიდან დიქტატურის გზაზე შესდგა. ფაშიზმი, რომელიც იშლება საერთაშორისო მასშტაბში, ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურის გამოხატვაა. რუსეთის კომუნისტურმა რევოლიუციამ მრავალი ახალი სისტემები და ბრძოლის მეთოდები მისცა თანამედროვე კაცობრიობას. პროლეტარული კლასის დიქტატურა, საერთოდ დიქტატურის პრინციპი განვითარების მწვერვალამდე და შესაძლებლობის სიმაღლემდე აიყვანა ოქტომბრის რევოლიუციამ. სხვა გზით და საშუალებით შეუძლებელი იყო რადიკალ ცვლილებების მოხდენა სახელმწიფოს ცხოვრებაში, შეუძლებელი იყო გაბოროტებულ ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეების დანგრევა. დიქტატურის აზრი განახორციელა რუსეთის პროლეტარიატმა კომპარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენ ხელთ გვაქვს სწორი გზის მონიშნულობის და სწორი გზის ალების მდიდარი შედეგები.

საერთაშორისო ფაშიზმი ბურჟუაზიული ბოლშევიზმია. ფაშიზმში აყარებული ელემენტებია განწირულ კაპიტალისტურ მსოფლიოს ისტორიულ სულისკვეთების. ფაშიზმმა უარყო პარლამენტარიზმი, პარლამენტარული დემოკრატია და დაიჭირა ბურჟუაზიის დიქტატურის პოზიციები. აშკარაა, ფაშიზმის გამარჯვება არ არის დემოკრატიულ ილიუზიების გამარჯვება, თავისუფლების, ერთობის, თანასწორობის დამყარება მსოფლიოს ცხოვრებაში.

ამ რიგად, ორივე მსოფლიო ძალა—საერთაშორისო კომუნიზმი და საერთაშორისო ფაშიზმი უარყოფს დემოკრატიზმს. დემოკრატიზმი წარსულ ცხოვრების მტერია, კაპიტალიზმის აღორძინების პირველ პერიოდის ღვიძლი შვილია, მას დღეს არც ბურჟუაზია ეპოტინება და, მით უმეტესად—არც პროლეტარიატი.

მაგრამ არის ამ ქვეყნად სახელმწიფო და ხალხი, სადაც და რომელსაც სჯერა დემოკრატიზმის სასწაულ მოქმედება. მთელ მსოფლიოში ყველგან ძირს უთხრიან დემოკრატიულ აზრებს. მაგრამ ამ „სასწაულთმოქმედების“ ქვეყანაში დემოკრატიულ პრინციპებს კიდევ იეზუიტურად ეთაყვანებიან და დემოკრატიზმის სამსხვერპლოზე მიაქვთ რევოლიუციონური აზრის სიწმინდე, პროლეტარული ბრძოლის სიდიადე. ეს ქვეყანაა ცივილიზაციის და კულტურულ დაწინაურების ქვეყანა—თანამედროვე გერმანია.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია ერთად ერთი დამცველი პოლიტიკური მიმდინარეობაა, რომელიც დემოკრატიზმის სახარებას უქადაგებს მშრომელ მასსას. მენშევიკური პარტია ვერ გაიწმინდა რეფორმისტულ—ბურჟუაზიულ აზრებისაგან. ერთ და იმავე დროს გერმანიას ს.-დემოკრატია სცდილობს ორ სკამზე ჯდომას. იგი გამოდის საშუალო ძალის როლში, რომელიც შემაერთებელი ხიდია ისტორიულად დაპირისპირებულ კლასების. შუა ხაზი ყოველთვის შეიცავს მოწინააღმდეგე ხაზების ელემენტებს.

მენშევიზმი არაა საწინააღმდეგო დამოკიდებულებაში ბურჟუაზიულ ფაშიზმთან იმდენად, რამდენად ფაშისტურ მოძრაობის პოლიტიკური აზრი შეიცავს რეფორმისტულ მენშევიკურ აზრების შემდგენელ ნაწილებს. არც ფაშიზმია თავის მხრით მენშევიკებთან აბსოლიუტურად საწინააღმდეგო მიმართულებაში. განსაზღვრულ კონკრეტ შემთხვევებში ფაშისტები უთანხმდებიან, ურიგდებიან მენშევიკებს, მაგრამ არასოდეს კომუნისტებს. ეს იმიტომ, რომ ფაშიზმის პროგრამული მოთხოვნილებანი, როგორც ბურჟუაზიული ხასიათის არსებითად, უთანაბრდება მენშევიკურ პროგრამა მინიმუმს, რომელიც შეიცავს ბურჟუაზიის ბატონობის აზრს პოლიტიკურსა და ეკონომიურს სფეროში. ამიტომ უსათუოდ შემცდარია ვინც ფიქრობს, რომ ფაშიზმის გამარჯვება მენშევიზმის დამარცხებაა და პირიქით. მენშევიზმის გამარჯვება ფაშიზმის დამარცხებაა ფაშიზმთან ლოღიკურ დაპირისპირებაში კომუნიზმია, კომუნისტური პარტია მთელ მსოფლიოში. განვლილ მაგალითებს არ მოუცია არც ერთი შემთხვევა კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის „კონტაქტის“ დამყარების, ხოლო აუარებელი ფაქტებია მენშევიკებსა და მუსოლინისტების შეხმატკბილების. შეთანხმებული მოქმედების რევოლიუციონურ, კომუნისტურ მოძრაობის მშრომელი მასსის გულის სიღრმიდან აღმოსაფხვრელად. გავიხსენოთ ბულგარეთის რევოლიუციის ბედი და იმ შავრაზმულ ძალების მოღვაწეობა, რომლებიც თავს უყრიდნენ რეაქციონურ ფრონტის დროშის ქვეშ—ფაშისტებისა და მენშევიკების ბანაკში.

გერმანიის ამბები კიდევ ერთი მაგალითთაგანი და გაკვეთილი სოც. დემოკრატიულ პარტიის გამცემლობის, გამყიდველობის. გერმანიის მენშევიკური პარტია, სამწუხაროდ, ძლიერია მასსაში. ოცდა ათი პროცენტი ჯარის ნაწილებისა მენშევიკებისაგან შესდგესოდა ფაქტიურად. ხოლო მორალური გავლენა მენშევიკებისა მცხოვრებთა უმრავლესობაზე დიდია. სოც.-დემოკრატიას აქვს საშუალება სახელმწიფოებრივ ძალა უფლების საკითხის პროლეტარიატის სასარგებლოდ გადაწყვეტის, არც სახალხო პარტია და არც მისი ბელადი შტრეზემანი ვერ შესძლებდა განმტკიცებულ მდგომარეობის შენარჩუნებას ებერტ-შეიდემანის სიმპატიის გარეშე. გერმანიაში სოციალ-დემოკრატია ზურგს უმაგრებს ბურჟუაზიას, ხოლო ზურგში მახვილსა სცემს პროლეტარიატს. წითელი, კომუნისტური საქსონია და ტიურინგია ამოიშალა პოლიტიკურ რუქიდან. კომუნისტები დამარცხდნენ მენშევიკების წყალობით. ფაშისტებმა საქსონიის საზღვარზე თავი მოუყარე თავის სამხედრო ძალებს. საქსონიის წითელ მთავრობამ გადასწყვიტა ფაშისტებთან შებრძოლება, ამ დროს შტრეზემანი გზავნის სოც.-დემოკრატიულ ბათალიონებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დასამხობად. სოციალიზმისა და რევოლიუციის ისტორიაში უსათუოდ მსხვილი ასოებით აღინიშნება მენშევიკური პარტიის მოღალატური საქციელი თავისუფლებისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში.

რას გვეუბნება გერმანიის გაკვეთილი? იგი მთელი ქვეყნის პროლეტარულ მასსების საყურადღებოდ აცხადებს: ერთად ერთი რევოლიუციონური ძალა და მიმართულება მთელს მსოფლიოში მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტიაა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში გამობრძმედილი მისი რიგები. მენშევიკურ გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების ჰორიზონტზე უკვე მოსჩანს ვილჰელმ მეორეს ფიგურა. კრონ-პრინცები ემზადებიან გერმანიის მშრომელი მასსის სისხლის მორევში ჩასაღრჩობლად. ეს შედეგია მენშევიკების პოლიტიკის. საბჭოთა გერმანია იხსნის გერმანიის პროლეტარიატს უცხოეთის და „მშობლიურ“ კაპიტალის ბრჭყალებისაგან. გერმანიის კომპარტიის შრომა და ენერგია მიმართული ამ ისტორიულ საქმის სისრულეში მოყვანისაკენ.

საერთაშორისო კომუნისტური პარტია შესძლებს კაპიტალიზმის ჩასვენებას უკვე განმზადებულ საფლავში, მთელი ქვეყნის პროლეტარიატის განთავისუფლებას ბურჟუაზიის პოლიტიკურ-ეკონომიურ მონობისაგან და მენშევიკური პარტიის მორალურ გავლენის ბორკილებისაგან. ამაშია ჩამარხული ისტორიის ძირითადი ამოცანა.

## ჩვენი ნაბიჯი

„ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ XI ყრილობაზედ (მარტი 1922 წ.) 600 დელეგატიდან 120 ამხანაგი იყო, რომელიც წინეთ ეკუთნოდა მენშევიკების, ესერების, ანარქისტების და სხ. პარტიებს“.

გ. ზინოვიევი.

(Ежегодник коминтерна გვ. 419.)

ჩვენი უკანასკნელი ნაბიჯი, პარტიული ყრილობის დადგენილება კომუნისტურ პარტიასთან ორგანიზაციულად გაერთიანების შესახებ იწვევს ცხოველ ყურადღებას ფართო მასებში. ბევრი მეშჩანური თვალსაზრისით სწყვეტს ამ საკითხს, ბევრს ანგარიშ გრძნობების დემონსტრაცია გაუხდია საპროფესიო საქმეთ.

ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა ქუჩური ატმოსფერა შევიტანოთ პოლიტიკურ მსჯელობაში, მაგრამ ამ ატმოსფერას ჩვენ მხოლოდ ანგარიშს უწევთ, როგორც ფაქტს. პოლიტიკური მუშაკი მასების აზრს ნიჰილისტურად ვერასოდეს ვერ შეხედავს, არამედ იგი ცდილობს ამ აზრის შეცვლას, მის განდევნას, სხვა პოლიტიკური აზრის განმტკიცებას.

ამ სამი წლის წინეთ ჩვენ განვიცადეთ მეტი იზოლიაცია ეგ. წოდებული საზოგადოებრივი აზრისაგან. გაცილებით მეტი ქვა და გუნდა ხვდებოდა ჩვენს სახელს, ვიდრე დღეს, მაგრამ ჩვენ ობიექტიურად ერთი დებულება მიგვაჩნდა ჭეშმარიტად—ვინც ჩვენ დაცემაზე და მოღალატეობაზედ ქადაგებდა, ვინც ჩვენ ზნეობრივ და პოლიტიკურ სიმდაბლეზედ ყაყანებდა, იგი მართლაც მეტად დაცემული იყო და ობიექტიურად მოღალატურ გზაზედ მიმდგარი. იგი ზნეობრივ და პოლიტიკურ სიკოტრის წინადღეზე უეჭველად გამოგორდებოდა ისტორიისაგან გამოთრახებული და გამასხარავებული.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ეს პოლიტიკური რეცეპტი უკვე განაღდებულად მივიჩნიოთ. ამ სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ სთქვა ისტორიის ლოღიკამ.

საჭიროა მეტად დიდ მხატვრული შემოქმედება, რაც ჟურნალისტის კალამს არ ძალუძს, რომ დავხატოდ ის კონტრასტი პოლიტიკურ ძალთა მდგომარეობისა საქართველოში, როგორიც იყო 1921 წლის დასაწყისში და როგორიც არის დღეს.

თუ მაშინ კიდევ ძლიერი იყო მენშევიკური ავადმყოფობა ჩვენს საზოგადოებაში დღეს ეს სენი სრულებით მოსპო პოლიტიკურმა სანიტარიამ. დღეს არც ერთი პატიოსანი და ოდნავ გონება გახსნილი მოქალაქე აღარ იზიარებს იმ პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც მენშევიკური პარტია ასაღებდა ეროვნული დროშის ქვეშ.

ჩვენ ერთად ერთ ოაზისს წარმოვადგენდით მაშინ ქართველ საზოგადოებრივ ძალთა შორის, გარდა კომუნისტური პარტიისა, რომელნიც ხმამაღლა ვამბობდით, რომ ჩვენი გზა მიიმართება აჯანყებულ რუსეთის და გამოღვიძებულ აზიის ერთა პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებით და არა ევროპის ფაბრიკატთა, კომვოიაჟორთა და გაცვეთილ დიპლომატთა ორიენტაციით.

მაშინ ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ ეფემერულია ჩვენი არსებობა, რომ დათვლილია დღეები საბჭოთა ქვეყნების, რომ უკვე ჩასასვლელად არის გამზადებული რუსეთის რევოლიუციის მზე.

ეს ძალები შეცდენ და ეს შეცდომა დღეს ფაქტის საკითხია. დღესაც სცდებიან ყველა ისინი, რომელთა აზრით ჩვენ ნაბიჯში არის პოლიტიკური და მორალური დაქვეითება. ეს კი აშკარაა—ჩვენ პარტიულ და პიროვნულ თავმოყვარეობაზედ მაღლა დავდექით და ეს უფრო მეტად დადებითია, ვიდრე უარყოფითი.

ერთ-ერთ წერილში ჩემ მიერ აღნიშნულმა ერთმა ფრაზამ მეტად მრავალი საყვედურის ღირსი გამხადა.—როგორ შეიძლება—მეუბნებიან წამ და უწუმ, რომ ფედერალისტი სწერდე—**სოციალიზმი მარქსისტული დროშით უნდა დამყარდეს, რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი.**

ამ ფრაზას ხაზი გაუსვეს პრესაშიაც.

რაშია საქმე? მართლაც ხომ დიდ უცნაურობას არა აქვს ადგილი?

საქმე ის არის, რომ ეს ჩვენ დღეს კი არ გვიოქვამს, ეს ჩვენ ვსთქვით მაშინ, როდესაც პარტიის 1-ლ ყრილობაზედ კომინტერნის თანამგრძნობ პარტიათ გამოვაცხადეთ თავი, როდესაც ჩვენ ფაქტიურად ჩავდექით იმ რაზმში, რომელსაც წინ უძღოდა და უძღვის **მარქსისა და ლენინის** სურათი.

ჩვენ მთელი ჩვენი წარსულის მანძილზედ ვაკრიტიკებდით მარქსიზმს, მაგრამ ეს საკმაოა იმისათვის, რომ არ გავეკაროთ იმ რევოლიუციონურ რიგებს, რომელსაც წინ ექნება აღმართული მარქსის დროშა? რასაკვირველია არა.

ჯერ ჯერობით ჩვენ ვიცით 5 ინტერნაციონალი (პირველი, მეორე, ორ ნახევარი, მესამე და გერმანეთის მუშათა კომუნისტური პარტიის ცდა დამოუკიდებელ ინტერნაციონალის შექმნისა) და ყველა ეს ინტერნაციონალები იყვნენ და ზოგი მათგანი, დღეს არსებულნი არიან, მარქსისტული ორგანიზაციები.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობა არსებითად მარქსისტული დროშისა და მარქსით სურათის ქვეშ მიმდინარეობს. ვისაც სურს ამ მოძრაობაში აქტიური შემოქმედი იყოს და არა ტიკინა, იგი ან მარქსისტულ პარტიაში უნდა მუშაობდეს ან მარქსისტულ პარტიასთან უნდა თანამშრომლობდეს, როგორც ერთგული მებრძოლი. თუ გვსურს ვიყოთ ფაქტა ბატონი და არა იდეალების მონა უნდა დავინახოთ ეს ჭეშმარიტება.

ჩვენი პარტია არა მარტო დღეს, არამედ გუშინაც არსებითად ამ გზას ადგა. მემარჯვენეების თანამშრომლობა მენშევიკებთან განა მარქსისტული დროშის ხელში ჭერას არ ჰგულისხმობს? მეორე ინტერნაციონალში შესვლის ცდა მათ მიერ, რომელიც მარცხით დასრულდა, განა მარქსის სურათის წინ გაძღოლას არ ნიშნავს? რასაკვირველია ნიშნავს.

ეს კი იმ ჭეშმარიტების ანარეკლია, რომ ყოველი ეროვნულ-სოციალისტური პარტია საბოლოო ანგარიშით უკავშირდება ან საერთაშორისო მენშევიზმს, ან საერთაშორისო ბოლშევიზმს. ორივე შემთხვევაშია რეფორმისტულის, ხოლო მეორე შემთხვევაში რევოლიუციონურის.

კ. კაუცკი თავის „ნაციონალიზმში და ინტერნაციონალიზმში“ სწერს: „ბედნიერია ის ინტელიგენტი მუშაკი, რომელიც ეკუთვნის დიდ ერს, განსაკუთრებით ისეთს, რომლის ენა არის ქვეული მსოფლიო ენათ, მაშინ ის ელაპარაკება მთელ ქვეყანასო“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ერთ ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი პარტიის სისუსტისა ის იყო, რომ ჩვენ არ ვიყავით ამ „ბედნიერ ინტელიგენტ მუშაკთა“ კატეგორიაში.

როგორც აღვნიშნეთ დღეს მარქსისა და ლენინის სურათი საფრთხობელა კი არის, ან უკეთ იგი მართლაც დიდი საფრთხობელაა, მაგრამ არა ჩვენთვის, რევოლიუციონერებისთვის, არამედ მათთვის, ვინც უმოქმედობით ნებივრობს და ზარმაცობით ცდილობდება.

რა თქმა უნდა ეს არც იმას ნიშნავს, რომ პიროვნებანი გავაღმერთოდ ან მათი სწავლა რელიგიურ დოგმატად მივიღოთ.

პირდაპირ პროვიდენციალური, ღვთაებრივი და ზეკაცური მოვლენა იქნებოდა, რომ მარქს ენგელს ამ 60—70 წლის წინეთ ეთქვათ ის, რაც ყოველ თავის მუხლში გამართლდებოდა და რითაც დასრულდებოდა აზროვნების განვითარებაც. მაგრამ ამაზედ შემდეგ.

ს. ა.

## ბოლო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები 15 ნოემბრიდან“).

— გერმანეთში დაინიშნა ახალი ვალიუტის კომისარი.

— კაიზერი ბრუნდება გერმანეთში

— დაბრუნებული კრონპრინცი სადღაც მიიმალა.

— საუბარი რეიხსტაგის თავმჯდომარესთან.

— ბერლინში მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება.

— მანჰეიმში სიმშილის ნიადაგზედ ხდება მღელვარება.

— კარი სცდილობს შეურიგდეს ფაშისტებს

— ფაშისტთა შორის დიდი უთანხმოებაა.

— მრეწველებმა შეუწყვიტეს ფაშისტებს დახმარება.

— გერმანეთის სოც.-დემ. ესმარებიან სეჰტს, შტრეზემანს და სტინესს.

— მარტო კომპარტია არის რევოლიუციონური მთლიანობის ერთგული.

— დაარსდა რეინის ავტონომიური რესპუბლიკა.

— გაიმარჯვა ლეგალურმა სეპარატიზმმა.

## გერმანეთის ამბები

მუშებს ჰხვრეტენ, ფაშისტებს კი ასამართლებენ.

მიუნხენიდან ბერლინში მიღებულ ცნობით, ბავარიის მთავრობამ ბავარიის აჯანყების მონაწილეთა საქმის გამოძიება შეანდო ლაიპციგის უმაღლეს სასამართლოს.

**ერთ მომუშავეზე—ერთი უმუშევარია.**

ოფიციალური ცნობებით, რურის ოლქში უმუშევართა რიცხვი მთელი მუშების რიცხვის 60 პროც. აღწევს. ოკუპაციისაგან თავისუფალ გერმანეთში, პროფკავშირთა ცნობებით, უმუშევართა რიცხვი ზოგ ადგილას აღწევს 55 პროც., ხოლო ზოგგან კი—35 პროც.

**ისევ ვალიუტის კომისარი.**

საიმპერიო მთავრობამ ხელმეორედ დანიშნა ახილი ვალიუტის კომისარი, რომელიც სცდილობს უმტკივნეულოდ გადავიდეს ახალ ვალიუტაზედ და ცოტაოდნად მაინც მოაგვაროს კურსისა და ფასების საქმე.

**მუშებს აბრალებენ.**

ოფიციალური ცნობა მუშებისათვის ხელფასის გადაუხდელობას მტკიცე ვალიუტით ჰხსნის იმ გარემოებით, რომ, მბეჭდავთა გაფიცვის გამო, შეფერხდა მტკიცე ვალიუტის ფულის ნიშნების დაბეჭდვა.

**კარის ბედ-იღბალის საკითხი.**

ბერლინის საპარლამენტო წრეებში ლაპარაკობენ, რომ ამ დღეებში ბერლინში უნდა ჩამოვიდეს ბავარიის პრემიერი კნილინგი, რომელიც მოელაპარაკება საიმპერიო მთავრობას ბავარიის სახალხო პარტიის კონფერენციის შესახებ. კონფერენციამ უნდა გამოარკვიოს პარტიის პოზიცია კარის მიმართ. „ფორვერტსის“ ცნობით, ბავარიაში დიდი უკმაყოფილებაა კარის მიმართ.

**მიუნხენის უნივერსიტეტის დახურვა.**

მიუნხენის სტუდენტებს შორის ფაშისტურ მოძრაობის გაძლიერების გამო, მიუნხენის უნივერსიტეტი დაიკეტა 3 დღით.

**თავის ყაიდაზე.**

„ვოლფას“ სააგენტო იუწყება, რომ პუანკარემ გადასწყვიტა თვითონ იკისროს ექსპერტთა კონფერენციის მოწვევის პროექტის დამუშავება. საფრანგეთის წარმომადგენელს საკონტრიბუციო კომისიაში, ბარტუს, დაევალა წინადადება მისცეს კომისიას, გამოჰყოს თავის შემადგენლობიდან შესაფერი ექსპერტები.

**ლიუდენდორფი გულ გატეხილია.**

ლიუდენდორფმა განაცხადა, რომ მას მეტად გაუტეხა გული გიტლერის აჯანყებამ და რომ იგი გიტლერის სამსახურზედ დასთანხმდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დაარწმუნეს, რომ მოძრაობის ხელმძღვანელობას იკისრებდა კარი. კარისა და ლოსოვის ორჭოფულმა პოზიციამ მეტად შეარყია მათი ავტორიტეტი.

**აღარ ეყოთ ძალა მტკიცე პოზიციისათვის.**

ელჩთა კონფერენციამ განიხილა ყოფილ კრონპრინცის გერმანეთში დაბრუნებით შექმნილი მდგომარეობა, მაგრამ რეალური შედეგები ამ თათბირს ჯერ ამ მოჰყოლია.

**გონს მოვიდნენ.**

გერმანეთის პრესა ეხლა იწყებს კრონპრინცის დაბრუნებისათვის მნიშვნელობის მიცემას და ფიქრობს, რომ ამ დაბრუნებას შეუძლიან რეაქციის გაძლიერება. რესპუბლიკანური წრეები კრონპრინცას დაბრუნებაში ჰხედავენ მონარქიის აღდგენისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, ან, ყოველ შემთხვევაში, მონარქისტული შეთქმულებების სტიმულს.

**მეტად აჩქარდა**

ბერლინის ზოგიერთ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ყოფილი კრონპრინცი არ უნდა დაბრუნებულიყო ამ თვის გასვლამდე, მაგრამ იგი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგანაც ამას ხელს უწყობდა პოლიტიკური კრიზისი. გაზეთი „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ ფიქრობს, რომ კრონპრინცი ადრე დაბრუნდა და მის დაბრუნებას შეუძლიან გერმანეთის საწინააღმდეგო გამოსვლები გამოიწვიოს უცხოეთში. გაზეთი მოითხოვს გამოაცხადოს მთავრობის ოფიციალური ცნობა ამის შესახებ, რომელიც დაამშვიდებს უცხო სახელმწიფოთ.

**სრულიადაც არ აპირებენ**

„ფორვერტსის“ ცნობით, ბავარიის პრემიერსა და შტრეზემანს მეტად მნიშვნელოვანი მოლაპარაკება ექნებათ. იმავე გაზეთის ცნობით, კარმა განაცხადა, რომ ის სრულიადაც არ ფიქრობს გადადგომას. მიუნხენიდან მიღებული სხვა ცნობებით, ლიუდენდორფმა განაცხადა, რომ ისიც არ აპირებს თავი მიანებოს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

**კრონპრინცის შემდეგ—კაიზერი**

პარიზიდან მიღებულ ცნობით, ბრიუსელის გაზეთ „ლა გაზეტტ“-ში მოთავსებულია ცნობა, ვითომც ყოფილმა გერმანეთის კაიზერმა მიიღო პასპორტი გერმანეთში დასაბრუნებლად.

**რომი.** როგორც იუწყება დორმიიდან „ჰავასის“ სააგენტო, ყოფილმა კაიზერმა ორშაბათს მიიღო თავისთვის და მთელი ოჯახისთვის პასპორტი გერმანეთში დასაბრუნებლად.

**ლონდონი.** გერმანეთის მთავრობა უარყოფს ცნობას, ვითომც ყოფილი კაიზერი ბრუნდებოდეს გერმანეთში.

**კრონპრინცის მიმალვა**

**ლონდონი.** გერმანეთში დაბრუნებული კრონპრინცი საიდუმლოდ მიიმალა. 13 ნოემბერს დილით კრონპრინცმა ისარგებლა თავის ცოლის ძმის სახლში ამტყდარ არეულობით და შეუმჩნევლად გამოვიდა სახლიდან, სად იმყოფება იგი ჯერ გამოურკვეველია.

**საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილება.**

გაზეთ „დეილი მეილის“ პარიზის კორესპონდენტი იუწყება, რომ ბარტუს წინადადებით საკონტრიბუციო კომისიამ მიიღო გერმანეთის მთავრობის წინადადება გერმანეთის ვალების გადახდის უნარიანობის გამორკვევის შესახებ. ბარტუმ წინადადება შეიტანა შეიქმნას ექსპერტთა კომისია მოკავშირეებისა და მეზობელ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან

**სერიოზული ნიშანი**

გაზეთ „დეილი მეილის“ პარიზის კორესპონდენტი იუწყება, რომ კრონპრინცის დაბრუნებას გერმანეთში მთავრობის ნებართვით, საფრანგეთში ჰხსნიან როგორც სერიოზულ ნიშანს გერმანეთის განზრახვებისას ვერსალის ხელშეკრულების მიმართ. საფრანგეთის მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ ამ განზრახვებს საფრანგეთმა შესაფერისი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.

**„როსტას“ თანამშრომელის საუბარი რეიხსტაგის პრეზიდენტთან.**

„როსტას“ თანამშრომელთან საუბარში გერმანეთის რეიხსტაგის თავმჯდომარემ, სოც.-დემ. ლებემ, განაცხადა, რომ იგი ვერ იწონებს შტრეზემანის პასიურ პოლიტიკას ბავარიის მიმართ. შტრეზემანი, ალბად, ფიქრობს, რომ ბავარიის ფაშიზმი თვითონ ამოიჭამს თავს, შინაურ წინააღმდეგობათა გამო. გიტლერის მომხრეთა გამოსვლა კარას წინააღმდეგ შესაძლებელია, მაგრამ ლებე ასეთ შესაძლებლობაზე დამყარებას არა საკადრისად სთვლის სახელმწიფო მოღვაწისათვის.

ტევტონთა პარტიის იმედებს, რომელიც გენ. სექტს უყურებს, როგორც მომავალ სამხედრო დიქტატორს, ლებე უსაფუძვლოდ სთვლის. თუმცა რეიხსვერისაგან ყველაფერია მოსალოდნელია, მაგრამ გენ. სექტმა სახელი დაიმსახურა რესპუბლიკანელებში და იგი ვერ იკისრებს კონსტიტუციის საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმაზე, ამისათვის უსაფუძვლოა მემარჯვენეთა ფიქრი, ვითომც სექტი უარს იტყვის დაუბრუნოს ებერტს ის ძალაუფლება, რომელიც მას გადასცეს დროებით, მიუნხენის ამბების გამო.

კითხვაზედ, თუ რამდენად შესაძლებელია სოც.-დემ. ხელმეორედ შესვლა მთავრობაში, ლებემ უარყოფითად უპასუხა და განაცხადა, რომ ამბები მარჯვნივ ვითარდება და გერმანეთს ეყოლება მემარჯვენე მთავრობა, თუმცა ეს დროებითი ეპიზოდი იქნებაო.

შემდეგ ლებემ განაცხადა, რომ გერმანეთის მუშათა კლასის პერსპექტივები ვერ არის ბრწყინვალე, მაგრამ არც უიმედო არისო. მუშათა კლასი შესუსტებულია ფინანსიური გაჭირვების გამო, ხოლო პარტიები და პროფკავშირები შესუსტებულია შინაურ განხეთქილების გამო.

კრონპრინცის დაბრუნებას გერმანეთში ლებე მეტად არა სასიამოვნო მოვლინად სთვლის სოც.-დემოკრატებისათვის, რადგანაც დაბრუნების ნებართვა კრონპრინცს მისცა შტრეზემანის მთავრობამ 23 ოქტომბერს, და იმ დროს მთავრობაში მყოფმა სოც.-დემ. მხარი დაუჭირეს ამას. საკითხი გადაწყვეტილი მხოლოდ პრინციპიალურად და განზრახული იყო ვადა შემდეგში დაენიშნათ. შტრეზემანმა ისარგებლა სოც.-დემ. მთავრობიდან გამოსვლით და დაუყოვნებლივ მისცა [illegible] მლისაც იგი [illegible]. კრონპრინცის პოლიტიკაში ჩარევას [illegible] რადგანაც მისი მიმხრენი ყოველ ზომას მიიღებენ ამისათვის.

**ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვა**

მბეჭდავთა გაფიცვა გრძელდება.

სტამბების პატრონთა კავშირი გამოქვეყნებულ მოწოდებაში სცდილობს პასუხისმგებლობა გაფიცვისათვის მუშებს დააკისროს. თავის მხრით მბეჭდავთა კავშირი მოწოდებაში პროტესტს აცხადებს სექტის მიერ გაფიცვის აკრძალვის წინააღმდეგ და მოუწოდებს ყველა მუშას, მხარი დაუჭირონ მათ მოთხოვნილებებს.

შრომის სამინისტროში დანიშნულ თათბირზედ მწარმოებელნი არ გამოცხადდნენ. გაფიცვის კომიტეტი, რომელშიაც შედიან 4 სოც.-დემ. და ერთი კომუნისტი, არა ლეგალურ მდგომარეობაზედ გადავიდა.

გაფიცვის გაგრძელებას, მიუხედავად სექტას მიერ აღკრძალვისა, ბერლინში სექტას დამარცხებად სთვლიან.

გაფიცვის გაგრძელების გამო, მთავრობა იძულებული გახდა ფულის ბეჭდვა გადაეტანა პროვინციაში.

**მღელვარება მანჰეიმში.**

მანჰეიმში სიმშილის ნიადაგზედ ხდება მღელვარება. დარბეულია მთელი რიგი სასურსათო საწყობების.

**დაპატიმრება**

ბერლინში, ეიზენაში და ტანბახში (უკანასკნელი ორი ქალაქი ტიურინგიაშია) დაპატიმრებულია ბევრი კომუნისტი, უმთავრესად არალეგალურ პარტიულ გაზეთის გავრცელებისათვის.

**აჯანყებაში მონაწილეთა გასამართლება**

გერმანეთის მთავრობამ რესპუბლიკის პროკურორს წინადადება მისცა დაიწყოს გიტლერის აჯანყებაში მონაწილეთა საქმის გამოძიება, რომელთაც ბრალად უნდა დაედოთ მთავრობისა და პრეზიდენტის ჩამოგდებისაკენ მისწრაფება.

**მეპშევიკები სიტყვებით კმაყოფილდებიან**

სოც. დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა რეიხსტაგის ფრაქციას ენერგიული პროტესტი განაცხადოს მთავრობის პასიური პოზიციის გამო ბავარიის მიმართ. სოც.-დემ. მოითხოვენ რეპრესიების გაუქმებას პრესის წინააღმდეგ, ენერგიულ ზომების მიღებას ლიუდენდორფის მიმართ და ყველა შეიარაღებულ ორგანიზაციების დაშლას.

**კარი გიტლერს აბრალებს**

კარი სცდილობს მთელი პასუხისმგებლობა გამოსვლისათვის დააკისროს გიტლერს, ოფიციალუ-

# 1919 წლის წერილებიდან.

## იმპერიალიზმი და ერები.*)

თანამედროვე ეპოქა ფინანსიური კაპიტალიზმის ბატონობითა და დიდ—სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკით ხასიათდება. ინდუსტრიალურ სახელმწიფოთა ცხოვრებაში გადამჭრელ როლს თამაშობს საალებ-მიცემო ახალ-ახალი ბაზრებისა და დაგროვილ საწარმოო კაპიტალისათვის ასამოძრავებელ ტერიტორიების ძებნა. შინაგანი ეკონომიური სტრუქტურის მოთხოვნილებით და პოლიტიკური სიძლიერის წყალობით თანამედროვე სახელმწიფოთა პოლიტიკას სარჩულად უდევს იმპერიალისტური მიდრეკილება, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა საერთაშორისო კონფლიქტებისა და შეჯახებებისათვის. მაგრამ ასეთი საერთაშორისო კონფლიქტებისათვის უძლიერესად შეამზადა ნიადაგი მე XIX-ე საუკუნის მიწურულებში და მე-XX-ე საუკუნის დასაწყისში ორმა დიდმა გარემოებამ: ეს იყო ერთის მხრით საერთაშორისო ალებმიცემობის სარბიელზე გამოსვლა ახალი ინდუსტრიალური სახელმწიფოებისა, მეორე მხრით არსებითი ცვლილება თვით წარმოების პროცესში, რომელმაც ძირიანად გადაახალისა ევროპის ინდუსტრიალურ სახელმწიფოთა ეკონომიური სტრუქტურა და ახალი ფორმები მისცა სამეურნეო ცხოვრების მიმდინარეობას.

ფინანსიური კაპიტალის ბატონობა, სადაც ინდივიდუალური ხასიათი ბურჟუაზიული წარმოებისა შესცვალა კაპიტალისტების მონოპოლიურმა კავშირებმა,—წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის უმაღლესსა და უძლიერესს განვითარებას. ასეთი კაპიტალისტური მეურნეობის ისტორია მცირე დროით განისაზღვრება, მაგრამ მისი მნიშვნელობა და ღირებულება თანამედროვე საერთაშორისო წარმოებისა და ალებ-მიცემობის სფეროში, მისი როლი დიდ სახელმწიფოთა შორის შეტაკებასა და კონფლიქტებში დიდი და განუზომელია.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს გამოარკვიოს ფინანსიური კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური საფუძვლები და შინაარსი; ჩვენ მას შევეხებით იმდენად, რამდენადაც ის არკვევს იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნებს და უახლოვესი კავშირი აქვს წვრილ და ჩამორჩენილ ერთა თავისუფლებისა და განვითარების საკითხთან. ჩვენთვის ნათელი და გარკვეულია, რომ იმპერიალისტური პოლიტიკის ერთი დიდი მამოძრავებელი ფაქტორთაგანი თანამედროვე წარმოების ტენდენციებში ჰმარხია. რას მოითხოვს ეს ტენდენციები იმპერიალისტურ სახელმწიფოსაგან და როგორია მათი დამოკიდებულება ჩამორჩენილ, კაპიტალისტურად განუვითარებელ ეროვნულ ერთეულებთან? ამ კითხვათა გამორკვევა ნათელს მოფენს, ერთის მხრით, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკას და მეორეს მხრით კი გარკვეულს გზას უჩვენებს ჩამორჩენილ ეროვნებათა ორგანიზაციებს, თუ საით უნდა იყოს მიმართული მათი სამოქმედო გეგმა. კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს საკითხი მეტად საინტერესოა. საერთაშორისო ალებ მიცემობამ და წარმოებამ და თანამედროვე ობიექტიურმა გარემოებამ საქართველოს საკითხში საერთაშორისო პრობლემად შეჰქმნა. და თქვენ ვერ გაიგებთ ამ პრობლემის არსებით მხარეს თუ არ გამოარკვიეთ მიზნები და სურვილები იმ სახელმწიფოთა, რომელთაც ხელთ უპყრიათ მთელი მსოფლიოს ბედი.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე სახელმწიფოთა იმპერიალისტურ მიდრეკილებას უმთავრესად სარჩულად უდევს კაპიტალისტური მეურნეობის ტენდენციები. ასეთი ახსნით ჩვენ არ გვინდა საზოგადოდ იმპერიალიზმი ლოღიკურად დაუკავშიროთ კაპიტალისტური წარმოების სისტემას და მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის შედეგად დავსახოთ. ძველს რომში ადგილი არ ჰქონია კაპიტალისტურს მეურნეობას, მაგრამ ჩვენ იქ ვპოულობთ უკვე დამთავრებულსა და გარკვეულს იმპერიალისტურს პოლიტიკას იმპერიალიზმის ახსნა და განმარტება ერთი ეკონომიური ფაქტორით შეუძლებელია. მიუხედავათ ამისა საკითხის ამ მხრით გამორკვევა უფრო საინტერესოა ზემოდ წამოყენებულ კითხვათა გამოსარკვევად: რას ავალებს კაპიტალისტური სისტემა იმპერიალიზმს და რას მოუტანს თვით ეს სისტემა დაჩაგრულ ერებს.

მაგრამ თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა არსებითად განსხვავდება ძველი კაპიტალისტური მეურნეობის სისტემისაგან. კაპიტალისტური ევოლიუციის ობიექტიურ მიზეზების გამო ეწ. „სამრეწველო კაპიტალმა“ ბატონობის ადგილი დაუთმო თავის შემდეგ სტადიას საკრედიტო და საბანკო კაპიტალიზმს. ეს არის ფინანსიური კაპიტალიზმის ხანა, რომელმაც თანდათანობით გარიყა სამოქმედო ასპარეზიდან ნაციონალური მეურნეობის ანარქო-ინდივიდუალური წარმოება და კაპიტალისა და წარმოების მობილიზაციისა და კონცენტრაციის საშუალებით ნიადაგი ჩაუყარა კაპიტალისტურ ერთეულების—მოწესრიგებულს მონოპოლიურს კავშირებს. კარტელების, ტრესტებისა და სინდიკატების კავშირები და საბანკო კაპიტალის შეერთება სამრეწველო კაპიტალთან, არის ელემენტები, რომელნიც ხელს უწყობდენ ფინანსიურ კაპიტალიზმის განმტკიცებას. თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის ტეხნიკურად უმაღლესად განვითარებულმა და ეკონომიურად მიზანშეწონილმა სისტემამ ხელი შეუწყო არა მარტო ნაციონალური კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციას, არამედ ალებ-მიცემობისა და ვაჭრობის აპარატის შეერთებულ კავშირებას ხელში მოწესრიგებას. ამ გარემოებამ საშუალება მისცა მას თავისი შემოსავლის წყარო უფრო გაეფართოებინა: წარმოების პროცესიდან აღებულ ზედმეტ ღირებულებასთან ერთად შეერთებულ სინდიკატების ხელში გროვდება ვაჭრობის პროცესიდან შემოსული ზედმეტი მოგება (сверх прибыль). ევროპის მონოპოლიურს წარმოებას მრავალ გვარი ტეხნიკური საშუალება აქვს უფრო ორგანიზაციულად მოაწესრიგოს ექსპლოატაცია, როგორც დაქირავებული მუშებისა (ზედმეტი ღირებულება), ისე მომხმარებლების (ზედმეტი მოგება). ამ გვარად ასეთს საფუძველზე აგებული კაპიტალისტური სისტემა ჰნიშნავს გადიდებული შემოსავლის დაგროვებას შეკავშირებულ მაგნატების ხელში და საწარმოო ძალთა უმაღლესად განვითარებას აქედან ჩვენ ვხედავთ ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობაში ორს მნიშვნელოვანს შედეგს: 1) იმ სახელმწიფოში, სადაც კაპიტალისტური ტრესტები და კარტელები მრავლდება, სადაც მონოპოლიური სისტემა კაპიტალისტური მეურნეობისა შედის თავის ძალაში, საკმაოდ დიდი ნაწილი კაპიტალისა ვერ ჰპოულობს გასავალს მეტროპოლიაში და თავისუფალი რჩება; ეს გარემოება მოითხოვს, 2) გაძლიერებულ იქნას ინტენსიური მოძრაობა თვით კაპიტალის ექსპორტისა და მის ამუშავებას იმ მხარეებში, სადაც კაპიტალის ნაკლებობაა. ეკონომიური ცხოვრების ასეთი ვითარება გადამჭრელს როლს თამაშობდა თანამედროვე ევროპის დიდ-ტანიან სახელმწიფოთა პოლიტიკურს ცხოვრებაში. ეს იყო საერთაშორისო პოლიტიკის ერთი მომაძრავებელი ფაქტორთაგანი.

ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყურადღება ჩამორჩენილ მხარეებისა და ქვეყნებისაკენ არის მიპყრობილი, სადაც ისინი უმთავრესად სამ გვარ მიზანს ისახავენ: 1) ხელში ჩაიგდოს ჩამორჩენილ მხარეში არსებული ნედლი მასალა თავისი წარმოებისათვის, 2) ზედმეტ ფასებში გაასაღოს დამზადებული საქონელი და 3) გასავალი მისცეს მეტროპოლიაში თავისუფლად დარჩენილს ზედმეტს საწარმო კაპიტალს. ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩამორჩენილი მხარეში ყოველმხრივ საექსპლოატაციო საგნად ხდება ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების. თუ გავითვალისწინებთ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის განვითარების უმთავრეს მომენტებს ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ განვითარებულ ერთა ყვლეფა და განადგურება სხვა და სხვა ფორმებით და საშუალებებით დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოთა კაპიტალისტური კულტურის. სავაჭრო იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალი სცდილობდა გამოეტანა ჩამორჩენილ მხარიდან ის, რაც ყველაზე ძვირფასი იყო და სამაგიეროდ შეეტანა რაც ნაკლები ღირებულებით განისაზღვრებოდა. ამ პერიოდში დამოკიდებულება მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის სავაჭრო კაპიტალით ხასიათდება, სამრეწველო კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში მეტროპოლიის მიზანია ფართო გასავალი მოუპოვოს კოლონიებში თავის საქონელს და სამაგიეროდ გამოიტანოს ნედლი მასალა თავისი წარმოებისათვის. ეს პერიოდი საყურადღებოა მით, რომ მეტროპოლია ყოველთვის სცდილობდა გაენადგურებინა დაპყრობილ მხარეში მისს წინააღმდეგ მიმართული წარმოება და ამით შეექმნა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს შეუწყობდენ ჩამორჩენილ მხარეში დაგროვილ ნედლი მასალის მეტროპოლიაში გატანას.

სულ სხვა სურათი გვეშლება თვალ წინ ფინანსიურ კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში. აქ დამოკიდებულება მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის უფრო რთულსა და სისტემატიურს ხასიათს ღებულობს; მათ შორის ეკონომიური ურთიერთობა მტკიცე და მაგარი პოლიტიკური ორგანიზაციის სალტეებით ინასკვება; კოლონიების მნიშვნელობა უფრო ფართოვდება. მათი როლი მარტო სავაჭრო საქონლების გასაღებითა და ნედლი მასალის გასაღებით კი არ განისაზღვრება, აქ აგრეთვე უმეშვეო გასავალს ჰპოულობს მეტროპოლიაში თავისუფლად დარჩენილი ზედმეტი საწარმოო კაპიტალი, ამგვარად კოლონია სამრეწველო ბაზად ხდება სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდებში გამეფებული საქონლის ექსპორტი ადგილს უთმობს თვით კაპიტალის ექსპორტს მეტროპოლიიდან. ამ ცვლილებასთან ერთად იცვლება ხასიათი კოლონიების ექსპლოატაციისა და თვით სახელმწიფოს დამოკიდებულება მათდამი.

ფინანსიური კაპიტალის მოთხოვნილებაა რაც შეიძლება მეტი საალებ-მიცემო და საწარმოო ცენტრები. პროტექციონიზმი და იმპერიალიზმი ფინანსიური კაპიტალის სურვილების ამსრულებელ იარაღად ხდება. პირველი დამატებითი მოგების, შე-

*) ეს წერილი დაწერილი იყო უფრო ვრცელ წერილის „თანამედროვე საქართველო და მისი მომავალი“-ს მესამე თავად. „სახალხო საქმის“ რედაქციაში აღნიშნულ წერილის პირველი თავი დაიბეჭდა (№ 546), ხოლო მეორე თავი, რომელშიაც გარკვეული იყო საქართველოს გეოგრაფიული პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ორიენტაციის საკითხი, არ დაიბეჭდა; მესამე თავი კი („იმპერიალიზმი და ერები“) დამოუკიდებელ წერილის სახით მოთავსდა № 554. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ხაზს უსვამენ, რომ გიტლერმა იძულებულჰყო კარი დასთანხმებოდა გამოსვლას, რადგანაც რევოლვერით ემუქრებოდა მას.

**ძველებურად ორ ფრონტზე**

მიუნხენიდან ვენაში იტყობინებიან, რომ კარი ცდილობს შეურიგდეს ფაშისტურ ტევტონთა წრეებს ერხარდტის საშუალებით. კარის მომხრე პრესა აცხადებს, რომ კარი არ ფიქრობს გადადგომას და განაგრძობს თავის ძველ პოლიტიკას.

**ფაშისტთა შორის უთანხმოებაა**

მიუნხენის ამბების გამო ფაშისტთა შორის დიდი განხეთქილებაა.

გიტლერის მომხრენი ძველებურად ახდენენ კარის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს. მეორეს მხრით, კარის განკარგულებით, მიუნხენის უნივერსიტეტი დაიკეტა გამოურკვეველ დრომდე, გაუთავებელ სტუდენტთა დემონსტრაციების გამო კარის წინააღმდეგ.

**გვიხსენ ასეთი მხსნელებისაგან**

ლიუდენდორფმა განაცხადა, რომ იგი არ ამბობს უარს ტევტონთა მოძრაობაში მონაწილეობაზედ, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლიან გერმანეთის ხსნა.

**ფაშისტთა უთანხაოება**

ბავარიის „მამულიშვილთა კავშირების" უმრავლესობა კარის მომხრეა, თუმცა მოითხოვენ გიტლერის მომხრეთა განთავისუფლებას და ტევტონთა მოძრაობის დევნის მოსპობას.

ბავარიის სახალხო პარტია მომხრეა დროებით ძალაუფლების სათავეში დარჩეს კარი.

ჩრდილოეთ გერმანეთის ფაშისტთა შორის აგრეთვე დიდი უთანხმოებაა. ტევტონთა პარტიის ბელადი გრაფვე კარსა და ლოსოვს ბრალსა სდებს ორპირობაში ტევტონთა პარტიის მეორე ბელადი, მაურენბრეხერი სასტიკად ჰკიცხავს გიტლერსა და ლიუდენფის მომხრეა კარისა.

ნაციონალისტები შორს სდგებიან გიტლერის გამოსვლისაგან და ხაზგასმით აღნიშნავენ თავის სოლიდარობას კართან.

**მრეწველებმა შეწყვიტეს ფაშისტთა დახმარება.**

გარდა უთანხმოებისა ფაშისტების მდგომარეობა გაუარესდა იმითაც, რომ მრეწველებმა შესწყვიტეს ფაშისტებისათვის დახმარების გაწევა, რადგანაც ფაშისტურ გადატრიალების მაგივრად ჩრჩებიან ლეგარულად ჩაიგდონ ხელში ძალა-უფლება.

**რუსის თეთრგვარდიელების კვალზედ.**

რეიხსვერმა დაიჭირა ვალენდორფი, სადაც დააპატიმრა 30 კომუნისტი. შტეინბახში დახვრიტეს 70 წლის ბერიკაცი, რომელმაც უარი სთქვა გაეცა კარი, მისი შვილის დასაპატიმრებლად მოსულ რეიხსვერის ჯარის კაცებისათვის.

**რედაქტორის დატუსაღება.**

ერფურტში დააპატიმრეს ადგილობრივი კომუნისტური გაზეთის რედაქტორი.

**კომუნისტ დეპუტატის დაპატიმრება.**

საქსონიის ლანდტაგის კომუნისტი—დეპუტატი, შანელლერი დააპატიმრეს და ბრალს სდებენ, ვითომც იგი ინახავდა გენერალურ შტაბის რუკებე რეიხსვერის ნაწილების სადგომი ადგილების აღნიშვნით. შონელურმა დეპეშით პროტესტით მიმართა ლანდტაგის პრეზიდენტს.

**საქსონიის სოც.-დემ. უსირცხვილობა**

საქსონიის ყოფილ მუშათა მთავრობის მინისტრის, ბერტერის ფინანსიური პოლიტიკის განხილვამ საქსონიის ლანდტაგში დიდი კამათი გამოიწვია.

დემოკრატები, სოც.-დემ. და ახალი ფინანსთა მინისტრი, გელდი ბრალს სდებდნენ ბერხერს ლანდტაგის ნებადაურთველად, 800 მილიარდი მარკის დახარჯვაში უმუშევართა დასახმარებლად.

ბეტხერმა განაცხადა, რომ მას არ შეეძლო დაეშვა მუშების სიმშილით სიკვდილი.

ბურჟუაზიულ პარტიების ზედგავლენით და სოც.-დემ. დახმარებით, ლანდტაგმა დანიშნა საგამომძიებლო კომისია ამ საკითხის გამოსაძიებლად, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია კომუნისტების მხრით

**ტიურინგიის მთავრობიდან გასულ კომუნისტების დეკლარაცია**

ტიურინგიის მთავრობიდან გასული კომუნისტი-მანისტრები დეკლარაციაში აღნიშნავენ, რომ, კაბინეთში შესვლის დღიდან, კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეექმნათ ერთი მთლიანი ფრონტი ფაშიზმისა და სხვილი კაპიტალის დიქტატურის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ღონისძიებამ შავრაზმელ გენერლების დამხმარე სოც.-დემ. წყალობით ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. რეიხსვერის შემოსვლისას ტიურინგიაში, სოც.-დემ. უარი სთქვეს მოეწოდებინათ მუშები საპროტესტო გაფიცვისაკენ, ეწეოდნენ ინტრიგებს თავის ამხანაკების მთავრობაში, კომუნისტების წინააღმდეგ. მუშების მობილიზაციის მაგივრად ბავარიასთან საბრძოლველად, სოც. დემ. მოიწვიეს რეიხსვერი. თავის სასირცხვილო სიმხდალის გამო, სოც. დემ. ტიურინგია გადასცეს მის მტრებს ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ გერმანეთის სოც.-დემ. მომხრეა გენ. სექტისა, შრტეზემანისა და სტინესისა.

„ფორვერტსი" სცდილობს გაამართლოს კომუნისტების დეკლარაცია და აქვეყნებს ტიურინგიის სოც.-დემ. მინისტრების კონტრ მოწოდებას.

**მხოლოდ კომპარტიამ პროლეტარიატის რევოლიუციონური მთლიანობის ერთგული.**

გერმანეთის მთავრობის თათბირმა ოკუპაცია ქმნილ ოლქების წარმომადგენლებთან, პრემიერების თანადასწრებით, გადასწყვიტა, რომ საფრანგეთმა თვითონ უნდა იზრუნოს ოკუპაცია ქმნილ ოლქების უზრუნველყოფაზედ და ამიტომ 15 ნოემბრიდან მთავრობა სწყვეტს ამ ოლქების უმუშევართათვის დახმარების მიცემას.

ამ გადაწყვეტილებით გერმანეთის სახელმწიფოს ფარგლებში იქმნება პრუსიისაგან დამოუკიდებელი, რეინის სახელმწიფო. რეინის რესპუბლიკას ეყოლება თავისი პარლამენტი, ექნება საკუთარი რკინის გზისა და ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო და საკუთარი სავალიუტო ბანკა 100 მილ. ოქროს მარკის თანხით. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს რეინის პროვინციის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა და ნაციონალისტებმა.

სოც.-დემ. გერმანეთის მთავრობის პოლიტიკაში ამ ცვლილების შეტანაში ჰხედავენ მისწრაფებას საფრანგეთთან საქმის გამწვავებისაკენ.

კომპარტია ამაში ჰხედავს ლეგალურ სეპარატიზმისა და სხვილი ინდუსტრიის გამარჯვებას, ამასთანავე სტინესზედ გაიმარჯვეს ოტტო ვოლფმა და გაგენმა, რომლებიც წინ შეუთანხმდნენ დეგუტეტს. ავტონომიურ რეინის რესპუბლიკის დაარსება, თუნდაც გერმანეთის საზღვრებში, ნიშნავს პუანკარეს დიდ გამარჯვებას ინგლისზედ.

რეინის ლანდტაგში კომფრაქცია ლეგალურ რეპარატიზმის წინააღმდეგ წავიდა და აღნიშნა, რომ რეინის მუშება დარჩებიან გერმანეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური მთლიანობის ერთგულნი.

**ს. ს. რ. კავშირი და უცხოეთი**

**სულ უარალია საშუალება მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად.**

ლონდონი. „დეილი ნიუსი" მეთაურ წერილში სწერს, რომ ყველაზედ უფრო მარტივი საშუალება, მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფელად აღმოსავლეთ ევროპაში, არის საბჭოთა მთავრობის ცნობა. ეხლა ველარაფერი ვერ შეუშლის ხელს საბჭოთა რუსეთის სულ ახლო მომავალში იქცეს ევროპის ერთ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალად. კერზონმა რომ მოახერხოს და ირგუნოს თავის გრძნობები და მეგობრულად მოეპყრას ს. ს. რ. კ. წარმომადგენელს ინგლისში, ეს უდიდესი დიპლომატიური წარმატება იქნებოდა მშვიდობიანობის დაცვის საკითხში. ამით კერზონი რადიკალურად შესცვლიდა მდგომარეობას ევროპაში, რომელიც გახრწნა საფრანგეთის მილიტარიზმის გამო.

**რუსეთ-ლატვიის რკინის გზის კონფერეეცია.**

რიგა. რუსეთ-ლატვიის რკინის გზის კონფერენციამ გადასწყვიტა ყველა პრინციპიალური საკითხები და გადავიდა ტეხნიკურ საკითხების განხილვაზედ.

# უცხოეთი

**გლეხთა სერიოზული მღელვარება.**

ტოკიო (იაპონია). ცნობებია, რომ ნიიგატას ოლქში ხდება გლეხთა სერიოზული მღელვარება, სადაც გლეხთა კავშირმა მოითხოვა საიჯარო გადასახადის შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში კავშირი საბოტაჟით იმუქრება.

**ამერიკა მხარს არ დაუჭერს მოკავშირეებს.**

ნიუ იორკი. ვაშინგტონიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობით, ამერიკის მთავრობა არ შეუერთდება მოკავშირეთა პროტესტს, თუ გერმანეთში აღსდგება მონარქია, რადგანაც ამერიკას არ უწერია ხელი ვერსალის ხელშეკრულებაზე.

---

შოსავლის წყაროა და იცავს მას სხვა კაპიტალის კონკურენციისაგან კოლონიებში; მეორე ახალ ახალ ბაზრებისა და ტერიტორიის ძიებაშია, რომ ამით შეჰქმნას ძლიერი და ფართო სამრეწველო სარბიელი ნაციონალური კაპიტალისათვის. გერმანიის იმპერიალისტების სურვილი, შეერთებინათ გერმანიის ზღვა ინდოეთის წინა კარებისათვის „ბერლინ-ბაღდადის" რკ. გზის საშუალებით, გამოწვეული იყო უმთავრესად გერმანიის კაპიტალისტური მეურნეობის მიდრეკილებით და მიზნად ისახავდა ამ დიდი არტერიის საშუალებით ეკონომიურად და პოლიტიკურად დაემორჩილებია შორეული ჩამორჩენილი მხარეები, გამოეწუწნა აღმოსავლეთში დაგროვილი სიმდიდრე და დოვლათი ერთის მხრით, მეორეს მხრით კი გადაეჭრა ინგლისიდან მიმავალი გზები ინდოეთში და ეგვიპტეში და გამანადგურებელი მავნე ჩაეცა ინგლისის კაპიტალის არსებობისათვის აღნიშნულ ქვეყნებში.

იმპერიალისტური კაპიტალის მიდრეკილება აგრესიულს პოლიტიკაში ისახება. ის ვერ ითმენს ვერავითარს კონკურენციას; ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებული იმპერიალიზმი ცდილობს გაანადგუროს, როგორც სხვა სახელმწიფოთა კაპიტალის მეტოქეობა და წინააღმდეგობა, აგრეთვე თვით კოლონიების ანტიმეტროპოლიური მიდრეკილება და დაუმორჩილოს ნაციონალურ კაპიტალის სურვილებსა და მიზნებს. პირველ გზას მივყევართ საერთაშორისო კონფლიქტებსა და ომებისაკენ დიდ სახელმწიფოთა შორის; მეორე ბრძოლა გამოსახავს სახელმწიფოს შიგნით არსებულ შეტაკებას მპყრობელ და დამონებულ ეროვნულ ერთეულთა შორის.

საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესები მოითხოვენ უარყოფილ იქმნას, როგორც ერთის, ისე მეორის ბრძოლის საფუძველი და ნიადაგი. ეს შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაციის გზით.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ თანამედროვე კაპიტალისტური იმპერიალიზმის მთავარი ყურადღება კოლონიებისაკენ არის მიპყრობილი და ხელუხლებელი, ჩამორჩენილი ეროვნული ერთეული ხდება ევროპის კაპიტალის ყოველ მხრივ საექსპლოატაციო საგნად, რაც განსაკუთრებით სოფლისა და ქალაქის პროლეტარულსა და მშრომელს მასას აწვება კისერზე. შორეული აღმოსავლეთი, შუა აზია, აფრიკა. სამხრეთი ამერიკა და სხვა განუვითარებელი ქვეყნები, აი ის ტერიტორიალური ერთეულები, რომელნიც ხდება აგრესიული კაპიტალის მიზნად და საექსპლოატაციო ობიექტად. ცხადია ამ ტერიტორიალურ რგოლებში საქართველო შედის როგორც ერთი შემადგენელი ელემენტი, საითაც მიპყრობილია გაუმაძღარი იმპერიალიზმის ხარბი თვალები.

ასეთი იყო ინდუსტრიალურ ევროპის დამოკიდებულება ჩამორჩენილსა და განუვითარებელს ერებისადმი უახლოესს წარსულში. ეს დამოკიდებულება არსებითად არ იცვლება დღევანდელ ობიექტიურს პირობებში. ხუთი წლის ომმა მეომარ სახელმწიფოთა ცხოვრებაში დიდი ცვლილება შეიტანა. ერთის მხრით თუ ჩვენ ვხედავთ ომის პროცესში სოციალურად მოღონიერებულს ერებს (ამერიკა, იაპონია, იტალია), მეორეს მხრით ჩვენ ვამჩნევთ ამავე პროცესში ეკონომიურად განადგურებულსა და დაუძლურებულს მხარეებსაც (საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, ინგლისი) ამ ფაქტის შემდეგ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს, თუ გამარჯვებული იმპერიალიზმი საიდან შეეცდება აღადგინოს თავისი ეკონომიური სიძლიერე და როგორის გაუმჯობესებული ტეხნიკური საშუალებით გამოსწუწნოს კოლონიებს იქ არსებული ხელუხლებელი დოვლათი? ევროპის კაპიტალის უმთავრესს მასაზრდოებელ წყაროდ კვლავ ჩამორჩენილი მხარეები იქნება და მათ ზურგზე მოისურვებს გამარჯვებული იმპერიალიზმი გაასკეცებული ენერგიით აღადგინოს ომის წარმოებაში შერყეული ეკონომიური ბატონობა. სხვა გზა მისი ბატონობის აღსადგენად არ არსებობს.

აქედან ცხადია თუ რა მოელის გამარჯვებულ იმპერიალიზმისაგან საქართველოს და მისი ეკონომიური ცხოვრება როგორის კალაპოტით განვითარდება უცხო კაპიტალის ბრჭყალებში...

მაგრამ კულტურულს ევროპას მარტო ჩაგვრისა და განადგურების სისტემები არ შეუმუშავებია. ამავე საზოგადოების წიაღში შემუშავდა და განმტკიცდა განახლებისა და თავისუფლების საშუალებები... იმპერიალიზმის ბატონობის დასამხობი ძალა უკვე იზრდება არა მარტო ახლობელს ევროპაში, არამედ საუკუნოების განმავლობაში უმოქმედოთ მყოფ შორეულ აღმოსავლეთშიაც.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მიერ გადასროლილმა ლოზუნგებმა გააღვიძა როგორც ევროპის, ისე აღმოსავლეთის მშრომელი ხალხი, რომელსაც სტანჯავდა ევროპის კაპიტალის მრავალი წლების უხამსი ბატონობა. ამ დიდ მოძრაობაში მწიფდება და ხორცს ისხამს დიადი პრობლემა დაჩაგრულ ერთა ყოველ მხრივი განთავისუფლებისა. აჯანყებები ეგვიპტეში, ტუნისში, ავღანისტანში და სხვა კოლონიებში ახალი ღირსშესანიშნავი რგოლებია საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის, რომელსაც ერთი დიდი მიზანი აქვს: გაანადგუროს იმპერიალიზმის ბატონობა და შეუმზადოს ნიადაგი თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირებს.

საერთაშორისო მყვლეფელ იმპერიალიზმის განადგურებასთან ერთად თავისუფალი სარბიელი ეძლევა თავისუფალ საქართველოს სოციალურს შემოქმედებას.

ხიმ. ხუნდაძე.

---

# „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციების ლიკვიდაცია.

**(რეზოლიუცია მიღებული მათ ყრილობაზე ამ ორგანიზაციების თვით ლიკვიდაციის შესახებ).**

1. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციების ისტორიული დამსახურება საქართველოს სინამდვილეში გამოიხატებოდა ქართველი ახალგაზრდობის დიდ უმრავლესობაზე ფაქტიური გავლენით. მათ მიზანს შეადგენდა ახალგაზრდობის, მარქსისტულათ გაწრთვნა. და რამდენათაც მათ ჩაუნერგეს ქართველ ახალგაზრდობას, რევოლიუციონური ბრძოლის სურვილი, ამდენად შეგვიძლია ვიცნოთ მათი ეს ისტორიული დამსახურება.

2. „ახ. მარქსისტთა" ორგანიზაციების ჩანასახების არსებობა დაიწყო ჯერ კიდევ 1915 წელს.

3. მათი სისტემატიური-ორგანიზაციული არსებობის დასაწყისთან უნდა ჩაითვალოს 1917 წ., როდესაც მოისპო მეფის რეჟიმის საშიშროებანი და ახალგაზდებმა თავი დააღწიეს აღზრდის ბიუროკრატიულ წესებს.

4. ჩვენი ორგანიზაციები დღიდან ჩასახვისა ატარებდენ აკადემიურ ელფერს, მაგრამ ამავე დროს უმთავრესათ ასრულებდნენ პოლიტიკური ორგანიზაციების ფუნქციასაც. ამიტომ ცდებიან ისინი, ვინც ვიღაცას თვალების ასახვევად ამტკიცებენ, ვითომ ჩვენს ორგანიზაციებს ჰქონდა მარტო აკადემიური ხასიათი.

5. ახ. მარქსისტთა შორის განხეთქილების (რომელიც ფაქტიურად 1918 წ. მოხდა პირველ ლეგალურ კონფერენციაზე) მთავარი მოტივი იყო გამოაშკარავება პოლიტიკური ხაზის იმ სხვადასხვაობისა, რომელიც ჩაისახა ჩვენსა და ახალგაზრდა „სპარტაკელებს" შორის; ეს უკანასკნელები ამ დრომდე ჩვენთან ერთად მუშაობდნენ ორგანიზაციებში.

6. ჩვენი ორგანიზაციის ისტორიას ახსოვს მემარცხენეთა მიმდინარეობანი, მაგ., მიხეილიძის ჯგუფი, რომელიც იმ თავითვე იზიარებდა იდეას პროლეტარიატის დიქტატურისას, როგორც მართველობის პოლიტიკურ ფორმას და რომლის საკითხი ხელახლა დაისვა 3-მე ლეგალურ კონფერენციაზე, სადაც გამოდიოდა დუდუჩავას ჯგუფი.

7. ჩვენი ორგანიზაციების წარსულის შესწავლა და ამ წარსულის მიუდგომელი შეფასება გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ორგანიზაცია პრაქტიკულ საქმიანობის სფეროში ატარებდა ტაქტიკას 2-რე ახ. ინტერნაციონალისას და ამდენადვე ის, სოც.-დემ. მუშათა პარტიასთან ერთად, იზიარებდა ფორმულას „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ".

8. „ახ. მარქსისტთა" ორგანიზაციები იმ თავითვე დაკავშირებული იყვნენ საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიასთან (მენშევიკებთან) და მასთან განუყრელად ეწეოდა თანამშრომლობას სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში. საქართველოში გადატრიალების შემდეგ ეს ორგანიზაცია არალეგალურათ მუშაობს და კვლავ რჩება ხსენებული პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშ და ასრულებს ყველა მის დირექტივებს.

9. საქართველოს ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის 1922 წ. ანგარიშების მიხედვით ჩვენს ორგანიზაციებში მთავარი ყურადღება ექცევა პოლიტიკურ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმას და ამდენადვე ის ჰკარგავს აკადემიური ორგანიზაციის ხასიათს.

10. 2-რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალი ეთანხმება ჰამბურგის კონგრესის დამფუძნებელ კრებაზე მიღებულ რეზოლიუციას ამხ. 3-მე კომუნისტური ინტერნაციონალის წინააღმდეგ.

11. 2-რე ახ. ინტერნაციონალი მზად არის დაიცვას დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობა. ამის საუცხოვო ნიმუშს იძლევა ხოპმანის (გერმანიიდან) განცხადება ჰამბურგის კონგრესზევე: „ჩვენი ორგანიზაციის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნებით ჩვენი რესპუბლიკის მოსპობის, რადგან იქ ყველანი თანასწორი უფლებით ვსარგებლობთ".

13. 2 რე ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა დაჰკარგა თავისი გავლენა მშრომელი ახალგაზრდობის რიგებში, რაც ამტკიცებს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპების სიმართლეს.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, ყრილობა ადგენს.

14. პარლამენტარული დემოკრატიისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულმა ანალიზმა დაგვარწმუნა. რომ გარდამავალ ხანას შეესაბამება პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც მართველობის პოლიტიკური ფორმა.

15. ოქტომბრის რევოლიუციის გაკვეთილებმა დაგვანახვა, რომ თებერვლის რევოლიუცია იყო ბურჟუაზიულია, რომელსაც შემდეგში ამ სახით არსებობა არ შეეძლო.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუცია გახდა პროლეტარული რევოლიუციის კლასიკურ სახეთ, და ის პოულობს დღევანდელ სინამდვილეში გამოძახილს დასავლეთ ევროპის სინამდვილეში.

16. საქართველოს დამოუკიდებლობის ის ფორმა, რომელსაც ატარებდა ხსენებული სახელმწიფო, იყო არა სოციალისტურად გაგებული დამოუკიდებელი სახელმწიფო; საქართველოში თავისუფლად დათარეშობდენ იმპერიალისტური ჯარები, რაც დიდ საფრთხეს უმზადებდა რუსეთის და სხვა მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებს.

17. რუსეთის წითელი არმიის 11 თებერვლის ისტორიული ნაბიჯი მარქსისტულად გაგებული რევოლიუციონურ ომების თეორიის მიხედვით გასამართლებელი ხდება, თუ ამ ისტორიულ ფაქტს თან დაუმატებთ იმ უამრავ აჯანყებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში.

18. დღეიდან ჩვენი ორგანიზაციების დამოკიდებულება მე-3 ახ. კომუნისტური ინტერნაციონალთან აშკარაა.

ჩვენი ყრილობა, რომელიც თვით ლიკვიდაციამდე მივიდა, იზიარებს ამ ინტერნაციონალის პლატფორმას და ხელს იღებს ახალგაზრდათა მეორე ინტერნაციონალის ოპორტიუნისტულ პოლიტიკაზე.

19. ის ახალგაზრდა მარქსისტები, რომლებიც ამიერიდან მზათ არიან მიიღონ მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა, დღეიდან შევლენ ახ. კომუნისტურ კავშირებში და საბჭოთა აღმშენებლობაში ენერგიული მონაწილეობით შეეცდებიან გამოისყიდონ ის შეცდომები, რომელნიც დაუშვეს ჩვენმა ორგანიზაციებმა არალეგალურ მუშაობის პროცესში.

20. მეორე ახალგაზრდა ინტერნაციონალთან კავშირის გაწყვეტით, ჩვენი ყრილობა ადგენს მანდატი ჩამოერთვას დელეგაციას, რომელიც წარგზავნილი იყო მე-2 ახ. ინტერნაციონალში საქ. ახალგაზრდა მარქსისტების სახელით; ამიერიდან მას ყრილობა ყოველგვარ უფლებას ართმევს ილაპარაკოს ამ ორგანიზაციების სახელით.

21. სრულიად საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობა ადგენს გაუქმებულად იქნეს გამოცხადებული საქართველოს ახალ. მარქ. ცენტრალური კომიტეტი.

22. საქართ. ახალ. მარქ. ყრილობა, რომელსაც დაესწრო 110 დელეგატი—5025 კაცის წარმომადგენლები, ითვალისწინებს რა საქ. ს. დ. მ. პ. ყრილობის დადგენილებებს და ამასთანავე იმ ისტორიულ პირობებს, რომელნიც შექმნილია გერმანიის რევოლიუციის აუცილებლობით, ერთის მხრივ და რეაქციის გაძლიერებით, მეორეს მხრივ, გაერთიანებული ფრონტის პრინციპიდან გამომდინარე, გაუქმებულად აცხადებს საქართველოში არსებულ ყველა ახალგაზრდა მარქ. ორგანიზაციებს.

# პრესის მიმოხილვა

**ს. ს. რ. კ. ცაკის მესამე სესიის შედეგებისათვის.**

მოსკოვის გაზეთ „იზვესტიაში“ მეთაურ წერილში ამხ. სტეკლოვი, ითვალისწინებს რა სესიის მუშაობის მთელ ჯამს საკავშირო სოციალისტურ ფედერაციის შექმნის დარგში, აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციას ხვდა წილად მიეცა ქვეყნისათვის მაგალითი გონივრულად შეთანხმებულ პოლიტიკურ-ეკონომიური მთლიანობის და ადგილობრივ თვითმოქმედებისა, წინაალმდეგ ბურჟუაზიული სახელმწიფოებისა, რომელთაც სხვა ეროვნებების მიმართ მხოლოდ პოლიტიკური ჩაგვრის მეთოდი იციან, შეიარაღებული ძალითა და ეკონომიური ექსპლოატაციით.

საკავშირო ცაკის სესიამ ეროვნული კითხვის გადაჭრას საფუძვლად დაუდო ის წესი, რომ მთელის წარმატება დამოკიდებული არის მის შემადგენლობაში შემავალ ნაწილების ძალასა და განვითარებაზე, რომ კავშირის შემადგენელი ნაწილები უკეთესად პოულობენ მთელი კავშირის უმტკივნეულო და განუწყვეტელ განვითარების და განმტკიცების გზას.

ამ მუშაობას მოიწონებს ბურჟუაზიული ქვეყნების პროლეტარიატი და მთელი ქვეყნის ჩაგრული ერები, რომლებიც დაინახავენ, თუ როგორ სწყდება ეროვნული საკითხი იმ სახელმწიფოში, სადაც ძალა-უფლება აშრომელთა ხელში იმყოფება.

# ახალი ამბები

— **საქართველოს გასაბჭოებისათვის მებრძოლ ამხანაგთა წითელ ორდენით დაჯილდოვება.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტმა დაადგინა საქართველოს გასაბჭოებისათვის მებრძოლ ამხანაგთა წითელ დროშის ორდენით დასაჯილდოვებლად დაარსოს კომისია, რომელსაც მიენდობა საქ. ცენტ. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმს წარუდგინოს სია იმ ამხანაგებისა, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე.

— **ნორმაზე ზევით ჩამორთმეული მიწები.** ივლის-სექტემბრის განმავლობაში ტფილისის მაზრაში ნორმაზე ზევით მქონე მემამულეებს ჩამოერთვათ 3720 დესეტინა მიწა.

— **შრომის ბირჟა.** 14 ნოემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—40 უმუშ.; ახლად ჩაეწერა—56 უმუშ.; გაიგზავნა სამუშაოზე—44 უმუშ.

— **დამსახურებულ მასწავლებელთა იუბილე.** შაბათს, 17 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლში, მასწავლებელთა ერთი ჯგუფის თაოსნობით გაიმართება შრომის სკოლების დამსახურებულ მასწავლებლების იუბილე, მათი 25 წლის საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **დახმარება დამსახურებულ მასწავლებლებს.** განათლების კომისარიატმა დაადგინა 7 დამსახურებულ მასწავლებელს, რომელთა იუბილე იმართება 17 ნოემბერს, დახმარების სახით გადასცეს 1 მილიარდი და 500 მილიონი მანეთი.

— **ბოროტ-მოქმედების შემთხვევების რიცხვი.** იანვრიდან-სექტემბრამდის ტფილისში ბოროტ მოქმედების შემთხვევების რიცხვი ყოფილა 1293. უმრავლესობა ამ ბოროტ-მოქმედებაში ყოფილა ქურდობა—98.

— **გადასახადი წლიურ შემოსავლიდან.** ის პირები, რომელთა შემოსავალი. 1923 წ. 9 თვის განმავლობაში არ აღემატებოდა 450 მან. ჩერვონეცით თავისუფლდებიან გადასახადისაგან წლიური შემოსავლის მიხედვით. („პოდახოდნი ნალოგ“).

— **ღვინის მოსავალი.** ქუთაისში ღვინის მოსავალი წლის საშუალოზე მეტია. ახლო-მახლო სოფლებიდან ყოველდღე ჩამოაქვთ დიდი-ძალი ყურძენი.

— **„ყოველ კვირეული მაუწყებელი“** სრ. საქ. ცენტრ. აღმ კომიტეტმა დაადგინა: სახ. კომისარიატთან არსებული ორგანოები დახუროს და მათ მაგივრათ გამოსცეს ქართულ ენაზე ცენტრ. აღმას. კომიტეტის და სახ. კომისართა საბჭოს ყოველ კვირეული მაუწყებელი, რომლის რედაქტორად დაინიშნა ამხ. ვარძიელი.

— **მიწები, რომელნიც დამუშავებულ იქნებიან საერთო სარგებლობის წესით.** უკანასკნელ თვეების განმავლობაში, საერთო სარგებლობის მიზნით დასამუშავებლად, ტფილისის მაზრაში გამოყოფილია 31.111 დესეტინა მიწა.

— **გაძლიერებული პენსიები ისეთ პირებს და მათ ოჯახის წევრებს, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი გაძლიერებული პენსიების დასანიშნავად უკვე შეუდგა იმათი თხოვნების განხილვას, რომელთაც თავისი მოღვაწეობით სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით.

— **სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა სასწრაფო წესით შუამდგომლობა აღძრა **საქართველოს კომისართა საბჭოს** წინაშე, რათა მან თავის მხრით შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის საფინანსო კომისარიატის წინაშე მისცეს მას საჭირო თანხა, მომავალში გასახსნელი კრედიტის ანგარიშში, თვალსაჩინო რევოლიუციონერების (განსაკუთრებით ბავშვების ბრძოლაში დახოცილების და დახვრეტილების) ოჯახის წევრების დასახმარებლად.

— **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ამხ. სიმონ ხუნდაძის წიგნი: „თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები“. პირველი ნაწილი გვ. 210 წიგნი იცემა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

— **ქურდობა.** 13 ნოემბერს, ღამის 1 საათზე გაქურდული იქნა მოსკოვის ქუჩ. № 9-ში მცხოვრები, მოქ. ოლღა კოპიაშვილის ბინა; საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ტანისამოსი.

— **თავის დაჭრა.** 13 ნოემბერს, მოქ ნიკოლოზ ფედორიჩმა მცხ. ანდრიევის ქ. № 82-ში მძიმეთ დაიჭრა რევოლვერით თავი.

— **ქურდების შეპყრობა.** 6 ნოემბერს, შეპყრობილი იქნა მოქ. ნიკოლოზ ყიფიანი და ვასილ ეფიმიკოვი, რომლებსაც მოეპარათ სხვა და სხვა მანუფაქტურა.

— **ბოროტ-მომქმედის შეპყრობა.** 12 ნოემბერს შეპყრობილი იქნა სულა ხატე-ოღლი, რომელსაც ბრალდება სხვა და სხვა ბოროტ მოქმედება.

**პროვინციის ცხოვრება.**

— **უფასო სასადილო უმუშევართათვის.** აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა მოაწყოს ბათომში უფასო სასადილო უმუშევარ აჭარლებისათვის. პირველ ხანებში სასადილო განზრახულია 100 კაცისათვის.

— **საჭირო მასალების და ლიტერატურის ჩამოტანა.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა დაადგინა: საგლეხო კომიტეტების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად ახლო მომავალში მოსკოვში გაგზავნოს სპეციალური წარმომადგენელი საჭირო ლიტერატურის ჩამოსატანათ.

— **შრომის ბირჟა.** 13 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 125 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—73 უმუშევარი, გაიგზავნა სამუშაოზე—36 უმუშევარი.

— **საბავშო ბაღების ხელმძღვანელის კოლეგია.** სოც. აღზრ. მთავარ მმართველობამ დაადგინა, საბავშო ბაღების ხელმძღვანელები ხშირად იკრიბებოდნენ მეთოდიური მუშაობის საწარმოებლად.

— **ობოლი და ქუჩის ბავშების რიცხვის გამორკვევა.** მცირე წლოვანთა უფლებების დაცვის განყოფილებამ დაადგინა: შემოიღოს საბავშო სახლებში ბავშებისათვის პირადი ბარათები, რათა გამოარკვიოს იქ მყოფი ობოლი და ქუჩის ბავშების რიცხვი.

— **ქურდის შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. თევდორე ჟუმრავლიკოვი, რომელსაც ბრალი ედებოდა ბინის გაქურდვაში.

**ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 10 ნოემბერს შეპყრობილი იქნა მოქ. მიკირტუმოვი რომელსაც ბრალი ედებოდა გაბრეკელის ბინის გაქურდვაში, რაშიაც იგი გამოტყდა.

— **ვალიუტის კურსი** 14 ნოემბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 112.000 | მ. |
| სტერლინგი ფუნ. ფექ. | 10,5000 | „ |
| ჩეკი. | 104,000 | „ |
| დოლარი ფექ. | 24,500 | „ |
| ჩეკი. | 22,500 | „ |
| ოსმალური ლირა | 12,800 | „ |
| საბჭოთა ფული | 12,000 | „ |

# პარტიაში

კვირას, 18-ნოემბერს, 4 საათზე, ცენტრალურ ბიუროში მოწვეულია სტუდენტთა კომიტეტის სხდომა. გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები.

სტუდ. კომიტეტი.

**თურქული დრამა.** დღეს, 16 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში თურქული დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება [illegible] 6 მოქმედ. ჰუსეინ ჯავიდ-[illegible] ა. ტუგანოვი. დასი მოკლე [illegible] ჩალებს“.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამ წლის ზაფხულში ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებისაგან მე დავალებული მქონდა შემემოწმებინა ჯანმრთელობისა და საერთოდ დეფექტიურობის მხრით სახალხო განათლების კომისარიატისა და სახალხო განათლების ქალაქის განყოფილების გამგებლობაში მყოფ საბავშო სახლებში მოთავსებული ბავშვები. ეს სამუშაო მე შევასრულე ერთი თვის განმავლობაში. ბავშვების შემოწმება ხდებოდა პედაგოგიური საბჭოს წევრებისა, აღმზრდელებისა და სახლის გამგეების თანადასწრებით. გავეცანი რა წინასწარ ბავშვების დახასიათებას და საექიმო მეთვალყურეობის შედეგებს, მე შევუდექი საქმეს. ჩემი მიზანი იყო გამომერკვია რიცხვი დეფექტიური ბავშვებისა, რომელთა გადაყვანაც ამ სახლებიდან აუცილებელი იქნებოდა ბავშვთა წრის გასაჯანსაღებლად. ბავშვთა შორის კარგა დიდი პროცენტი გამოჩნდა ზნეობრივად დეფექტიური, გონებრივად ჩამორჩენილი და ფსიხო ნევროზით დაავადებულ. და უმნიშვნელო ნაწილი ეპილეპტიკებისა, ყველა ავადმყოფი ბავშვები გამოყოფილ იქნენ სამ ჯგუფად—ზნეობრივ-დეფექტიურები, გონებრივად ჩამორჩენილნი და ნევრასტენიკები. ყველაზე დიდი პროცენტი ზნეობრივ—დეფექტიურ ბავშვებისა აღმოჩნდა № 10 სახლში.

უმთავრესი ყურადღება მე მივაქციე ზნეობრივ—დეფექტიურ ბავშვებს. რადგანაც მათ მეტად ცუდი გავლენის მოხდენა შეეძლოთ სხვებზედ № 10 სახლის ბავშვების შემოწმებისათანავე. ზნეობრივ-დეფექტიური ბავშვები გამოვყავი ცალკე ჯგუფში, და წინადადება მივეცი, რათა იგინი გამოეყოთ ამ სახლიდან, მაგრამ პედაგოგიურ საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა და სახლის გამგემ მთხოვეს, მე შესაძლებლად დავინახავ თუ არა, რომ ხუთი ექვსი ბავშვი, რომელნიც შეტანილნი არიან ზნეობრივ-დეფექტიურთა სიაში დავტოვო ამ სახლში შემოდგომამდე იმ იმედით, რომ ეს ბავშვები გასწორდებიან პედაგოგიური—ზედამხედველობის გავლენით.

ზაფხულის განმავლობაში. მე არ ვაუხირდი, მაგრამ მაინც ვთხოვე საბჭოს წევრებს რათა მახლობელ სხდომაზე გამოერკვიათ ეს საკითხი, და თხოვნა ჩემდამი მიმართული, მათი დატოვების შესახებ, შევატანინე ოქმში, რაიმე არა სასურველ შედეგის ასაცილებლად. გავიდა ზაფხულიც, დადგა შემოდგომა და მე ხელახლად ვიყავი მიწვეული ქუჩის ბავშვთა სახლში, კვლავ შევამოწმეთ დატოვებულნი, გამოცდის მიზნით გასასწორებლად დეფექტიური ბავშვები და დავრწმუნდი იმაში, რომ საბჭო და ადმინისტრაცია, სახლისა ერთობ დაიმედებულნი იყვნენ თავიანთ თავზე, და მათი ავტორიტეტმა და მუშაობამ ამ სამი-ოთხი თვის განმავლობაში არამც თუ არ მიიღეს არავითარი დადებითი შედეგი, არამედ უფრო ამ ბავშვებში გაღვივეს მორალური ნაკლულევანებები. მიზანი ამ ჩემი წერილისა არის შემდეგი: ზოგიერთმა ზნეობრივ—დეფექტიანმა ბავშვებმა შეიტანეს საჩივარი სახლის გამგეზედ, რომ ვითომ იგი სასტიკათ ეპყრობა მათ და ხანდისხან მიჰმართავდა ფიზიკურ ზომებსაც-კი.

კომისიამ, რომელმაც განიხილა ეს საჩივარი გამოსთქვა ეჭვი, რომ მე ამ საკითხის გამორკვევის დროს თითქოს ტენდენციოზურად ვიმოქმედე ზნეობრივ დეფექტიან ბავშვების, წინასწარ საწინააღმდეგოთ. მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს გამოვაცხადო ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ მე არა მქონდა არავითარი სურვილი საზოგადოთ ამ ინციდენტში და ამ საბავშო სახლის შინაურ საქმეებში ჩარევისა, რათა შევხებოდი იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა ამ ბავშვების და მათ მომვლების შორის ამ სერიოზულ საკითხს როგორიც არის გამორჩევა ზნეობრივ დეფექტიან ბავშვებისა, მე ვეხებოდი განსაკუთრებით მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით და ცალმხრივობაზედ ჩემის აზრით ჩემს მოქმედებაზე, ლაპარაკიც არ შეიძლება.

ექიმი დ. გედევანიშვილი.

# პროვინციაში

**ქ. ქუთაისი.** ქუთაისის „ნაძალადევი“ ანუ მშრომელთა უბანი არის ამ ქალაქის დასავლეთის მიდამო, ეგრედ წოდებული გ. ზდანოვიჩის ქუჩის გაგრძელების მეორე ნახევარი, რომელიც საზღვრავს ქვიტირს და ოდისკურა-ლაგირს. თითქმის ვერსნახევრის მანძილზე გადაჭიმულია ეს უბანი, სადაც მკვიდრთა უმრავლესობას შეადგენს წვრილი ღარიბი ხელოსნები, ქალაქის დღიური მუშები ან ულარიბესი მეურნენი, რომელნიც სრულიად ლოიალურად არიან განწყობილი საბჭოთა ხელის უფლებისადმი, რადგან, ვინც ოდნავ შეგნებულია დამერწმუნება, რომ ასეთი შრომის შვილთ არაფერი აქვსთ საერთო ევროპის „ზუბრებთან“, ანუ ადგილობრივ „კულაკებსა“ და ღიპიან ვაჭრებთან. აი, ეს სპეტაკი მუშური უბანი, რომლის ცენტრს ეწოდება „ზასტავა“ (ხონის გადასახვევთან) დაწყებული ძველი თვითმპყრობელობის რეჟიმიდან, ვიდრე დღემდე, უყურადღებოდ არის მიტოვებული ჭალბი ელემენტების: მიკიტან მეარღნეების და ქურდ-ბაცაცების საძიძგნელათ, რადგანაც საბჭოთა მთავრობის ფხიზელი მილიციის „პროჟექტორი“ ვერ აწვდენს თავისი დამთურგვნელს სხივებს ამ ჩამორჩენილს უბანს, რის გამო თავისუფლად დათარეშობენ აქ ქურდ-ბაცაცები და სხვა და სხვა გვარის ბოროტმოქმედნი, რომელნიც სრულიად დაუსჯელად დაქანცულს მშრომელთ უკანასკნელს სისხლს სწოვენ.

ასეთია ის სამწუხარო სურათი რომელსაც, ამ უბანში აქვს ადგილი: დაქანცული მუშა მოდის სახლისაკენ; მას გზა და გზა უხვდებიან მაცდური სულები: მიკიტან მეარღნეები და უკანასკნელ შრომის კაპეიკს აცლიან ჯიბიდან; ხოლო თუ მუშა გულ-უბრყვილო არ არის, ის გვერდს აუვლის ამ „პრიტონებს“ და მიეშურება შინისაკენ. მას, როგორც ღარიბი მუშა, რკინის ურდულებით არა აქვს დაკეტილი თავისი სამზარეულო—სადარბაზო, რითაც სარგებლობენ ბნელი ძალები: შედიან შრომისაგან დაქანცული ღრმა ძილში წასული მუშაკისას და უკანასკნელი ქოთან-ტომარას აღარ უტოვებენ. ხშირათ გაიგონებთ აქაურ მკვიდრთა შორის გულის სიღრმიდან აღმოხეთქილ სიტყვებს: „მთავრობა მუშურ-გლეხურია; შედგება ჩვენებრ მშრომელთაგან და იცავს მილიციონერებით და უნათებს ელექტრონით ცენტრში, ჩაჭრითებულ მდიდრებს, ხოლო ჩვენ კი არ გვაქვს ნოქციეული ჯეროვანი მუშური ყურადღება“. რასაკვირველია, სიმართლეს შეიცავს აქაური მშრომელთა ასეთი გოდება, რადგანაც თითქმის ვირსტის მანძილზე აქ არ არის სადარაჯო, რის გამო უნამუსოდ დათარეშობენ ქურდ-ბაცაცები; აღარც ელექტრონის განათება ეღირსა ამ ბედშავს უბანს, რაც ხელს უწყობს ქურდების ფრთების გაშლას. ამ სტრიქონების დამწერს ხშირათ მომართავენ ხოლმე აქაური მშრომელნი თხოვნით, რათა შუამდგომლობა აღვძრა საბჭოთა მთავრობის წინაშე, რომ აქ უპირველესად იქნას დაარსებული სამილიციო „პოსტი“ (სადარაჯო ზასტავაზე).

ამ საქმის მოსაწესრიგებლად კიდეც იყო მთავრობასთან დეპუტაცია: პარმენ ვარდანიძე, ვანოტოსაძის და გიორგი წივწივაძის შემადგენლობით თხოვნა ჯერ ჯერობით უყურადღებოთ დარჩა.

იმავე დროს როგორც ზნეობრივ მორალური მხრით, აგრეთვე ეკონომიურადაც დიდს გამარჯვებას მოიპოვებს ქუთაისის საბჭოთა მთავრობა სამილიციო პოსტის დაარსებით, რადგანაც: ა) ამნაირი ზომით ალაგმავს ქურდბაცაცებს, მით უმეტეს ფხიზელი მილიცია აქ აღმოაჩენს ბევრს გაპარულს ნივთებს, რადგან აქაური ჯვარედინ გზატკეცილებით, ეჭვს გარეშეა, პარაზიტები ეზიდებიან მუშის ნაამაგარს. ბ) აღკვეცავს უბაჟოთ ღვინისა და არაყის შემოტანას და აუკრძალავს მიკიტნებს უბაჟო ვაჭრობას, რაც ეხლა უკვე აშკარაა ყველასათვის, გ) აღკრძალავს ქუჩით გამხრწნელ არღნებს და ქუჩებზე უდროვო დროს ხეტიალს და დ) უზრუნველჰყოფს ჯიბგირთა დაძიძგნისაგან—ორს ფრიად მნიშვნელოვან დაწესებულებებს, სააბრეშუმო ფარდულს და შრომის სკოლას, რომელნიც ამ „მუშურს“ მიდამოში არსებობენ.

გიორგი წივწივაძე.

# ხელოვნება

**ახალი კლუბი.** გუშინ ტფილისში გაიხსნა ახალი კლუბი, „ჟოკეი-კლუბ“-ის სახელწოდებით, რომელიც მოთავსებულია სასტუმრო „ნოე“-ს შენობაში პლეხანოვის პროსპექტზედ.

——

**„ქეთო და კოტე“**, პარასკევს, 16 ნოემბერს, სახელმწიფო ოპერაში. წარმოდგენილი იქნება პირველად განახლების შემდეგ. ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ 3 მოქმ.

——

**წარმოდგენა პროფკავშირებისთვის.** რუსთაველის თეატრში, შაბათს 17 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ზ. ანტონოვის ცნობილი კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ 3 მოქმ. დადგმა კ. მარჯანიშვილისა დეკორაციები მხატვარ სიდამონი ერისთავისა.

——

**მოწაფეთა თეატრის იუბილე.** 23 ნოემბერს სრულდება 5—წლიწადი რაც ტფილისში დაარსდა მოწაფეთა დრამატიული წრე, რომელიც სისტემატიურად მართავდა ამ ხნის განმავლობაში, წარმოდგენებს რუსულ ენაზედ, სუმბათაშვილ-იუჟინის სახელობის დრამატიული წრის სახელწოდებით. ამ მიმდინარე სეზონში წრემ სახელი გამოიცვალა და იწოდება „ახალგაზრდათა თეატრად“ მართავს წარმოდგენებს ყოფილ კამერულ თეატრში, რომლის შენობაც მათ დაეთმოთ. წრეს ამ მოკლე ხანში განზრახული აქვს წრეს 5 წლის არსებობა. დანიშნოს, ამისათვის, აირჩიეს კომისია, რომელშიაც შედიან რეჟისორი ა. ტუგანოვი, ს. ასილოვი, და ვ. მესხეთელი.

——

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 16 ნოემბერს, პირველად განახლების შემდეგ წარმოდგენილი იქნება ოპერა „ფრა-დიავოლო“ მუსიკა ობერისა 3 მოქმედებათ. ბალეტი დადგმული იქნება დისკოვსკის მიერ.

——

**სახალხო სახლი.** დღეს, 16 ნოემბერს, მესამედ წარმოდგენილი იქნება „ცოდვა“ დრამა 3 მოქ. ვინიჩენკოსი. მონაწილეობენ დასის საუკეთესო ძალები. დადგმა მ. ღვამიჩავასი. მზადდება წარმოსადგენად „მეფის დალაქი“ პიესა ლუნაჩარსკისა.

——

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაზეთი
„ტრიბუნა“
ნოემბრის 1-დან ფასი:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 7.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 9 000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 500.000 „ |